რასაც მაყურებელი არ მოელოდა...

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 13 ივნისი.

“დინამო” (კიევი) - “დინამო” (თბილისი) 5:1 (2:0).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, პეტრიაშვილი, მესხი.

კიევი: მაკაროვი, ზაბოლოტნი, ტურიანჩიკი, კოლცოვი, ლევჩენკო, საბო, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, კანევსკი, ბიბა, ლობანოვსკი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

გასაგებია კიეველ ფეხბურთელთა ის უდიდესი მონდომება, რომელიც მათ გამოიჩინეს განვლილ მატჩში თბილისის დინამოელებთან. ბოლო ტურების სისტემატური წარუმატებლობა (4 მატჩში 3 დამარცხება და 1 ფრე) მასპინძლებს აიძულებდა გაეკეთებინათ ყველაფერი თავიანთი რეაბილიტაციისათვის მაყურებელთა წინაშე. და მართლაც, გუნდმა საუკეთესო თამაში აჩვენა. გუნდის ყოველი წევრი მოქმედებდა თავის შესაძლებლობათა ზღვარზე და კიევის “დინამო” გამოიყურებოდა ისე, რომ მისი მატჩი თბილისელებთან შეიძლება ჩაითვალოს გუნდის პოტენციურ შესაძლებლობათა ნათელ დემონსტრაციად.

ეს იყო 13 ივნისის მატჩის ერთი მხარე - კიევის “დინამო”. რაც შეეხება მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს - თბილისის “დინამოს”, მისმა თამაშმა მაყურებლებზე დატოვა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გაუგებრობის გრძნობა. ჩვენთვის, ვინც პირველად ნახა წელს თბილისელთა თამაში, წარმოუდგენელია ახსნა იმისა, თუ რა მოუვიდა გუნდს. დაცვაში აუწერელი ქაოსი და გაუგებრობა სუფევდა. თვით განთქმული “ტანდემიც” კი, რომელიც ორი პირველხარისხოვანი მოთამაშის - ჩოხელისა და ხურცილავასაგან შედგება, აბნეულად, ყოველგვარი ურთიერთგაგების გარეშე მოქმედებდა. განაპირა მცველთა თამაში მეტისმეტად პრიმიტიული იყო, ხოლო მეკარე კოტრიკაძეს ასე ალბათ არ უთამაშია თავისი მოწაფეობის წლებშიც კი. უკეთეს შეფასებას არც თავდასხმა იმსახურებს. ზაბოლოტნიმ მესხთან ითამაშა ისე, რომ თვითონ მიიღო რამდენიმეჯერ მონაწილეობა თბილისელთა კარის იერიშებში. პასიურად გამოიყურებოდა მარჯვენა ფრთაზე მეტრეველი, ხოლო კალოევს, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში.

პირველი გოლი გატანილ იქნა ჯერ კიდევ მე-3 წუთზე. ერთ-ერთმა კიეველმა 25 მეტრის მანძილიდან ნელა დაარტყა კარში. კოტრიკაძემ ვერ შეძლო შეეჩერებინა სრულიად მარტივი ბურთი, გაუშვა იგი ხელიდან და საშუალება მისცა ბაზილევიჩს გაეხსნა ანგარიში. 10 წუთის შემდეგ სერებრიანიკოვმა ბაზილევიჩისაგან მიიღო გადაცემა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის ცენტრში. სტუმრების დაცვამ მას აბსოლუტურად თავისუფალი თამაშის საშუალება მისცა, რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული ფორვარდის მიერ - 2:0. თბილისელთა უსისტემო თამაშში არავითარი გარდატეხა ამ მომხდარა შესვენების შემდეგაც და კანევსკის, ბაზილევიჩისა და ლობანოვსკის მიერ გატანილ იქნა კიდევ 3 ბურთი. ერთადერთი გოლი გაქვითა ბარქაიამ 54-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 3:0.

სტუმრებმა წაგეს დუბლიორთა მატჩიც - 0:1.

კ. ვისოცკი. კიევი, “რადიანსკი სპორტი”.

“ლელო”, 15 ივნისი, 1963 წ.